სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

თემა: მასწავლებლის, როგორც საჯარო მოხელის უფლებები და მოვალეობები საქართველოში

მაგისტრანტის სახელი, გვარი: ქეთი საათაშვილი

ხელმძღვანელი: ალექსანდრე ჩხიტაური

2021

გორი

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ,, მასწავლებლის, როგორც საჯარო მოხელის უფლებები და მოვალეობები საქართველოში'', მოიცავს საქართველოს სკოლებში მოღვაწე მასწავლებლებლების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ არსებული კანონის შინაარსობრივ განხილვას, შესაბამის კანონთან დაკავშირებულ გადაცდომებსა და დარღვევათა პრევენციის გზებს.

საქართველოში საკმაოდ **აქტუალურ** საკითხს წარმოადგენს მასწავლებლის უფლებებისა და მოვალეობების სწორად გაგება, გააზრება და შესრულება. პედაგოგების უფლებების არ ცოდნამ ან არასწორად აღქმამ შესაძლოა უკიდურესად მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანოს მოსწავლე თუ მასწავლებელი. ასეთი ფაქტების გამჟღავნების შედეგად საზოგადოებაში ხშირად ჩდება კითხვები:

▪ რისი უფლება აქვს მასწავლებელს?

▪ რამდენად ინფორმირებულები არიან მასწავლებლები თავიანთ უფლებებსა და

▪ მოვალეობებზე?

პირნათლად ასრულებენ თუ არა ამ ვალდებულებებს?

სწორედ ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხის გაცემაა სამაგისტრო ნაშრომის **მიზანი**.

კვლევის ამოცანაა - დავინახოთ, თუ რა სახის დარღვევებს ვხვდებით დღეს სკოლაში და როგორ ხედავენ მასწავლებლები ამ დარღვევათა პრევენციის გზებს. **კვლევის საგანია** ის უფლებები და მოვალეობები რომელიც მასწავლებელს კანონით ენიჭება. **კვლევის ობიექტად** მიიჩნევა ის დარღვევები და გადაცდომები, რომლის დამადასტურებელ ფაქტებს ჯერ ისევ ვხვდებით სკოლებში. **კვლევის ძირითადი შედეგის** საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის უფლებებისა და მოვალეობების მხრივ კიდევ ბევრი მუშაობა

სჭირდება სახელმწიფოს.

Keti Saatashvili

Rights and responsibilities of a teacher as a public official in Georgia

Annotation

Master Thesis "Rights and Responsibilities of a Teacher as a Public Official in Georgia", Includes a substantive review of the existing Law on the Rights and Responsibilities of Teachers Working in Georgian Schools, Mistakes Related to the Relevant Law, and Ways to Prevent Violations.

Proper understanding, comprehension and fulfillment of teachers' rights and responsibilities is a very **important issue** in Georgia. Ignorance or misunderstanding of teachers' rights can lead to an extremely difficult situation for the student or teacher. The revelation of such facts often raises questions in the society:

▪ What rights does a teacher have?

▪ How informed are teachers about their rights and responsibilities?

▪ Do they fulfill these obligations honestly?

The purpose of the master's thesis is to answer these and other questions.

The task of the research is to see what types of disorders we encounter in school today and how teachers see ways to prevent these disorders. **The subject** of research is the rights and responsibilities given to a teacher by law. **The object** of research is considered to be the violations and misconduct, the facts of which are still found in schools. **Based on the main results** of the research, we can say that the state still needs a lot of work in terms of teacher rights and responsibilities.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შინაარსი ---------- 6

თავი I

1. მასწავლებლის უფლებები ---------- 9

1.1 ძირითადი გარანტიები ---------- 11

1.2 საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ

ცოდნის უფლება ---------- 12

1.3 სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება--------- 14

1.4 გასაჩივრების უფლება---------- 15

1.5 ნეიტრალობა და არადისკრიმინაციულობა ---------- 17

1.6 გამოხატვის თავისუფლება ---------- 20

1.7 შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ---------- 22

1.8 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება --------- 23

1.9 რწმენის თავისუფლება---------- 26

1.10 დისციპლინა ---------- 28

1.11 ძალადობის დაუშვებლობა და უსაფრთხოება---------- 30

1.12 მასწავლებლის სხვა უფლებები---------- 31

თავი II

2. მასწავლებლის მოვალეობები---------- 35

1.1 პროფესიული კომპეტენტურობა ---------- 38

1.2 მასწავლებლის ვალდებულებები მოსწავლეებთან ურთიერთობის

დროს ---------- 40

1.3 მასწავლებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობის დროს---------- 43

1.4 მასწავლებლის ვალდებულებები სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობისას ---------- 47

1.5 მასწავლებლის სხვა ვალდებულებები---------- 49

კვლევის შედეგები---------- 53

დასკვნა ---------- 58

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 59

შინაარსი

ქვეყნის განვითარება, წინსვლა და წარმატება მომავალ თაობაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია საქმის მცოდნე და პროფესიონალი კადრის სიმრავლე.

როგორც ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა, პოლიტიკოსმა და მწერალმა ილია ჭავჭავაძემ თქვა: ,,ქვეყნის მყოფადი დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას''[1].

წარმატებული და სანდომიანი თაობების გაზრდას, აღზრდასა და ჩამოყალიბებას დიდი შრომა სჭირდება - სწორედ ამ მიზანს ემსახურება მასწავლებელი. თუმცა, პროფესიული უნარებისა და საგნობრივი ცოდნის გარდა მასწავლებელს გააზრებული უნდა ჰქონდეს თავისი უფლებები და მოვალეობები.

მასწავლებელი არის პიროვნება, რომელსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მისია აკისრია. მასზეა დამოკიდებული თითოეული მოსწავლისთვის არა მხოლოდ განათლების მიცემა, არამედ პიროვნული

[1] http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/93743-%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94/191/user:%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98:show:channel:loop:true

თვისებების ჩამოყალიბებაც. მასწავლებელი უნდა იყოს ერთერთი პირველი მაგალითი მოზარდისთვის - მეგობრობის, თანაგრძნობის, ჰუმანურობისა და სიყვარულის გზაზე. შესაბამისად, მის მიერ წარმოთქმული თითოეული სიტყვა თუ ფრაზა, თითოეული მოქმედება წინასწარ განსაზღვრული და მრავალჯერ გაზომილი უნდა იყოს.

საქართველოში საკმაოდ **აქტუალურ** საკითხს წარმოადგენს მასწავლებლის უფლებებისა და მოვალეობების სწორად გაგება და გააზრება.

ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად დაიხვეწა და გამოიკვეთა მასწავლებლის მიმართ მინიჭებული უფლებები და მასზევე დაკისრებული ვალდებულებები. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის კონფლიქტის დამადასტურებელ ფაქტებსა და ისტორიებს ჯერ ისევ ვხვდებით.

რამდენიმე ათეული წლის წინ სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების საკმაოდ დიდი ნაწილი ძალადობად არ აღიქვამდა ისეთ აშკარა ძალადობის ფაქტებს, როგორიცაა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ყურის აწევა, თმის მოქაჩვა და სხვა.

ამჟამინდელი მდგომარეობა აღარ არის ასეთი მძიმე, თუმცა, გარკვეული დოზით ძალადობისა და ბულინგის ფაქტები ისევ არსებობს. ამ პრობლემებსა და ფაქტებს ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ.

მასწავლებლის უფლებებსა და ვალდებულებებზე საკმაოდ მკაფიოდაა საუბარი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონში. სწორედ ამ კანონის შესწავლითა და გათვალისწინებით შეძლებს პედაგოგი თავისი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას და დაცვას მოსწავლეების, მშობლების, დირექციისა, კოლეგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების მიმართ.

ნაშრომის **მიზანი** საკმაოდ კონკრეტული და მკაფიოა. იმისათვის, რომ მასწავლებლების უფლებების დარღვევის ან მათი ვალდებულებების შეუსრულებლობის აღმოფხვრა მოხდეს, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს რა უფლებებით სარგებლობენ და რა მოვალეობები აკისრიათ პედაგოგებს.

რამდენად ინფორმირებულები და გათვითცნობიერებულები არიან მასწავლებლები თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებზე. ასევე, უნდა მოხდეს იმის განსაზღვრა თუ რამდენად იცავენ თავს მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. რამდენად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს მოსწავლეებთან, მშობლებთან და სკოლის თანამშრომლებთან ურთიერთობისას.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მასწავლებელს მინიჭებული და დაკისრებული აქვს საქართველოს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონის მიხედვით. ასევე განხილულია ბოლო წლების განმავლობაში არსებული დარღვევები მასწავლებლის მხრიდან თუ მასწავლებლის მიმართულებით.

კვლევა ჩატარდა გორისა და გორის რაიონის სამ საჯარო სკოლაში. ონლაინ კითხვარის საშუალებით მოხდა გამოიკითხვა როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების. კვლევის შედეგები წარმოდგენილია დასკვნის სახით.

თავი I

მასწავლებლის უფლებები

საქართველოს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონის თანახმად, ,,მასწავლებელი – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთ საგანს მაინც ასწავლის; სპეციალური მასწავლებელი;''[2].

მასწავლებლობა არის პროფესია, რომელიც უდიდეს შრომას, ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვს. თუ ადამიანი თვლის, რომ აქვს უნარი სხვას ასწავლოს, მაშინ თავადაც მუდმივად განვითარებასა და წინსვლაზე უნდა იყოს ორიენტირებული. უნდა ეცნობოდეს სიახლეებს და სასურველ ცოდნასა და ინფორმაციას ნერგავდეს მოსწავლეებში.

მასწავლებელს, როგორც აღმზრდელს, აკისრია ვალდებულება, რომ სააღმზრდელო-საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეებზე მიმართოს. ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

---

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 2 - ღ[1])

გამოავლინოს და განავითაროს მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარ-ჩვევები.

ქართველი პოეტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეანტი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი - იოსებ ნონეშვილი თავის ლექსში წერდა:

,,მასწავლებელი - ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი,
მასწავლებელი - ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.''[3]

სწორედ ასეთია მასწავლებლის ცხოვრება. სკოლაში თუ სკოლის გარეთ, მუდამ თან სდევს თავის არაერთ მოსწავლეზე ფიქრი და დარდი.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება, იგი მეგობრულ, კოლეგიალურ და არასტრესულ გარემოში უნდა მუშაობდეს. ნათელია, რომ ადამიანი ვერ შეძლებს იმ გარემოში მუშაობის დაწყებას ან გაგრძელებას, სადაც მისი უფლებები ირღვევა და ილახება.

ხშირად მასწავლებლები ვერც აცნობიერებენ ისე ირღვევა მათი უფლებები. აქვთ შინაგანი პროტესტი არსებული სიტუაციის მიმართ, მაგრამ ვერ ბედავენ ხმამაღლა თქმას, რადგან არ იციან აქვთ თუ არა გაპროტესტების უფლება.

ქართველი პოეტი - დავით გურამიშვილი ,,სწავლა მოსწავლეთა''-ში წერს: ,,თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი''. [4] აქედან გამომდინარე, პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა ცოდნის მიღებაა იმის შესახებ, თუ რისი უფლებები აქვს მასწავლებელს, რა შეიძლება გააპროტესტოს და რა არა.

საქართველოს კანონში ,,ზოგადი განათლების შესახებ'' [5] ნათლად და დეტალურად არის წარმოდგენილი ის უფლებები, რომლითაც მასწავლებელი

---

[3] https://www.aura.ge/331-leqsebi-mastsavlebelze/5166-ioseb-noneshvili--mastsavlebeli.html
[4] http://kids.ge/poesy-verse?id=1412

[5] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (თავი II)

სარგებლობს. ესენია:

- ძირითადი გარანტიები
- საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება.
- სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება.
- გასაჩივრების უფლება.
- ნეიტრალობა და არადისკრიმინაციულობა.
- გამოხატვის თავისუფლება.
- შეკრების თავისუფლება.
- გაერთიანების თავისუფლება.
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.
- რწმენის თავისუფლება.
- დისციპლინა.
- ძალადობის დაუშვებლობა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა
- მასწავლებლის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
- მასწავლებლის სხვა უფლებები.

ძირითადი გარანტიები

მასწავლებელს აქვს უფლება ისარგებლოს იმ ძირითადი გარანტიებით, რომლებიც საქართველოს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონშია მოცემული.

,,1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ ამ თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით.

2. სკოლას უფლება აქვს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე შეზღუდოს გარეშე პირთა უფლებები და

თავისუფლებები.

3. სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, აგრეთვე თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე:

ა) ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოებისა;

ბ) ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარების ან უკანონო ქმედების წახალისებისა;

გ) უხამსობის ან ცილისწამების გავრცელების, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივების, დანაშაულისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზებისა;

დ) სასწავლო პროცესის მსვლელობის, სკოლის საქმიანობის ან სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელის შეშლისა.

4. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის სრული დაცვით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.

5. დაუშვებელია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც არსებითად მათი გაუქმების ტოლფასია. ნებისმიერი შეზღუდვა ან რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების ადგილის, დროის და ფორმის ისეთ ნეიტრალურ შეზღუდვებს, რომლებიც გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამომხატველობით ეფექტზე და ტოვებს ალტერნატიული გზებით მათი განხორციელების ეფექტიან შესაძლებლობას.

6. ამ კანონით აღიარებული მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას მათი კანონიერება ივარაუდება. მათ შესახებ წარმოშობილი დავისას ამ უფლებებითა და

თავისუფლებებით სარგებლობის უკანონობის მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს.

7. დაუშვებელია სკოლის მიერ ისეთი ღონისძიების დაფინანსება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს.

8. ეს კანონი არ უარყოფს იმ საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც არ არის აქ მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან.''[6]

საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება

როგორც სხვა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში, ასევე საქართველოშიც, აღიარებული და დაცულია ადამიანის უფლებები. არავის აქვს უფლება, რომ შეზღუდოს სხვისი თავისუფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე რაიმე დანაშაულს ეხება.

საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე მუხლის თანახმად ,,სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს.''[7] შესაბამისად, ყველა ადამიანს აქვს უფლება, კანონის ფარგლებში, თავისუფლად იმოქმედოს როგორც სამსახურის გარეთ, ასევე მის შიგნითაც.

იმისათვის, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ თავი საზოგადოების სრულყოფილ წევრად აღიქვას, აუცილებელია, ფლობდეს ინფორმაციას იმ უფლებების შესახებ, რომლებიც მისცემს საშუალებას პროფესიულ საქმიანობაში თავი დაცულად, ლაღად და თავისუფლად იგრძნოს.

მასწავლებელს, როგორც საჯარო მოხელეს, საქართველოს კანონიდან

[6] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 8)
[7] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 (მუხლი 4)

,,ზოგადი განათლების შესახებ'', საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება აქვს.

,, 1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ.

2. სკოლა ვალდებულია ყოველ ახალ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გააცნოს მათი უფლებები და თავისუფლებები.

3. სკოლა ვალდებულია უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისას მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გონივრულ ვადაში განუმარტოს შეზღუდვის საფუძველი.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მოსწავლეს უნდა მიეწოდოს მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, კომუნიკაციის ხელმისაწვდომი საშუალებებით.''[8]

მაშინ, როცა მასწავლებელი ფლობს ინფორმაციას თავისი უფლებების შესახებ, იგი ნაკლებად ხდება ჩაგვრისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი. თავის უფლებებში გათვითცნობიერებულ ადამიანს შეუძლია გამოთქვას პროტესტი მისი უფლებების შელახვის შემთხვევაში, დაიცვას თავი კანონის ფარგლებით მინიჭებული უფლებებით.

სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება

საქართველოს კანონში ,,ზოგადი განათლების შესახებ'' ვხვდებით მასწავლებლის უფლებას - სკოლის მართვის პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით.

,, 1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სკოლის

[8] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 10)

მართვაში.

2. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ, მიიღონ სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისა.

3. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მათი აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობა.

4. მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს მისი ჭეშმარიტი ინტერესი.''[9]

მოცემული კანონიდან გამომდინარე, მასწავლებელს უფლება აქვს აქტიურად ჩაერთოს სკოლის მართვის პროცესში, დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა სახის აქტივობები, სკოლის ტერიტორიაზე მოაწყოს სახალისო და განმავითარებელი სახის ვიქტორინა ერთი კლასის მოსწავლეებსა თუ პარალელურ კლასებს შორის. ასევე, მასწავლებლებს უფლება აქვთ ჩაატარონ სპორტული შეჯიბრებები სკოლის დარბაზსა თუ ეზოში.

2019-2021 სასწავლო წლებში, კორონა ვირუსის გავრცელების გამო, არაერთი სკოლა გადავიდა ონლაინ სწავლების რეჟიმზე. მასწავლებლები დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. აქტიურად ეკონტაქტებოდნენ მოსწავლეებსა და მშობლებს. იღებდნენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის გაკვეთილზე არ ჩართვის მიზეზებზე. სკოლის დირექციასთან ერთად ცდილობდნენ იმ პრობლემების აღმოჩენასა და აღმოფხვრას, რაც ხელს უშლიდა მოსწავლეთა ცოდნის მიღებასა და განვითარებას. მაგალითად, გორის N2 საჯარო სკოლის რამდენიმე მოსწავლე ვერ ახერხებდა ონლაინ გაკვეთილებზე დასწრებას შესაბამისი ტექნოლოგიების არ ქონის გამო. საგნის მასწავლებლებმა საქმის კურსში ჩააყენეს დამრიგებლები მოსწავლეთა გაცდენების შესახებ. დამრიგებლებმა გამოიკითხეს გაცდენის მიზეზები და აცნობეს დირექციას.

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 11)

მასწავლებლების, დამრიგებლებისა და დირექციის საერთო მსჯელობისა და გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ მოსწავლეებს (დროებით) გადაეცათ სასკოლო კომპიუტერები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებმა შეძლეს საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართვა.

სკოლა წარმოადგენს ერთ დიდ ,,ოჯახს'', სადაც თითოეული მოსწავლის, მასწავლებლისა თუ სხვა მომუშავე პირის კანონიერი და აქტიური ჩართულობა სკოლის მართვის პროცესში კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს ქმნის და ყოველთვის დადებით შედეგს იძლევა.

გასაჩივრების უფლება

დღევანდელ რეალობაში ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ როგორ დაიცვას თავი მოსწავლემ, რომელსაც მასწავლებელი ჩაგრავს. საბედნიეროდ, მოსწავლეთა უდიდესმა ნაწილმა შესანიშნავად იცის ის ძირითადი უფლებები რომლითაც სკოლაში სარგებლობენ და საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრება და თავის დაცვა შეუძლიათ. თუმცა, მოსწავლეთა უფლებებზე საუბარმა და ყურადღების გამახვილებამ უკანა პლანზე გადაწია მასწავლებლის უფლებები ჩაგვრასთან დაკავშირებით.

იმ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას, რომელსაც მასწავლებლობა წარმოადგენს, მუდმივად ახლის ძიება, სწავლა, გაცნობა და განხორციელება სჭირდება. საკლასო ოთახში შესული მასწავლებელი ყველა სხვა პრობლემას და საფიქრალს გარეთ ტოვებს და მთლიანად საგაკვეთილო პროცესში ერთვება. თუმცა, მიუხედავად ამისა, შეუძებელია მოსწავლეებზე ორიენტირება და შედეგზე გასვლა, მაშინ, როცა თანამშრომლის ან ზემდგომი პირის მხრიდან ჩაგვრის და უფლებების დარღვევის მსხვერპლი ხარ. ჩნდება კითხვა: რა შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა, მაშინ, როცა მისი უფლებები ირღვევა?

საქართველოს კანონში ,,ზოგადი განათლების შესახებ'' ვხვდებით

,,გასაჩივრების უფლება''-ს:

,, 1. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის, სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

2. სკოლა ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება.

2[1]. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ვალდებულია შექმნას საჩივრების მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება.

3. საჯარო სკოლის დირექტორსა და ამ საჯარო სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

4. (ამოღებულია - 20.03.2013, №348).

5. სამოქალაქო სამართალწარმოებისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს სასამართლოში საჯარო სკოლის წარმომადგენლობას ამ საჯარო სკოლის დირექტორის მინდობილობის საფუძველზე უზრუნველყოფს სამინისტრო ან სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს თანამშრომელი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე – განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროს ან სამინისტროს თანამშრომელი.''[10]

აქედან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება - ამხილოს და უჩივლოს სკოლას ან დირექტორს უფლებების დარღვევის გამო, მიიღოს მიყენებული ზიანის შესაბამისი

[10] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 12)

ანაზღაურება და გააგრძელოს მუშაობა მშვიდ და დაცულ გარემოში.

ნეიტრალობა და არადისკრიმინაციულობა

დისკრიმინაცია ადამიანების უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენებას, უსამართლო მოპყრობას ნიშნავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს მიმართულია რაიმე ნიშნის მიხედვით განსხვავებული ადამიანების მიმართ. დისკრიმინაცია შეიძლება იყოს ეთნიკური, რასობრივი, სქესობრივი, რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ.

,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია'', რომელიც მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, კრძალავს ყველა სახის დისკრიმინაციას. ასევე, საქართველოს კანონში ,,ზოგადი განათლების შესახებ'' ვხვდებით ნეიტრალობისა და არადისკრიმინაციულობის უფლებას:

,, 1. დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზება.

2. დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

3. დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია. ეს ნორმა არ გამორიცხავს შესაძლებლობას შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო, პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებას, ასევე სხვა სტატუსის სკოლებში. შესარჩევი კონკურსის ჩატარებისას აუცილებელია პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინება.

4. დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია.
5. ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.
6. სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.
7. სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება.”[11]

მინიჭებული კანონის საფუძველზე, მასწავლებელს უფლება აქვს გააჩნდეს საკუთარი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე. იყოს ნეიტრალური პოლიტიკური თვალსაზრისით ან ფარულად თუ ღიად მხარს უჭერდეს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. არავინ შეურაცხყოფდეს მის რელიგიასა და რწმენას.

საქართველოში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, განსაკუთრებით მომრავლდა ინფორმაცია და ფაქტები - პოლიტიკური თვალსაზრისით მასწავლებლების შევიწროვებისა და სამსახურიდან გაშვების შესახებ. მაგალითად:

,,თამარ ასპანიძე ბოლნისის მესამე საჯარო სკოლიდან 2012 წლის 26 მარტს გაათავისუფლეს. ქალბატონი თამარი მისი სამსახურიდან გათავისუფლებას მისი შვილის, დავით ასპანიძის პოლიტიკურ საქმიანობას

[11] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 13)

უკავშირებს. დავით ასპანიძე რესპუბლიკური პარტიის ბოლნისის ორგანიზაციის თავმჯდომარეა.''[12]

,,2012 წლის 15 მარტს, სოფელ აფენის №1 საჯარო სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ცისანა ჯოიაშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს. სკოლის დირექტორმა თამარ ცქიფურიშვილმა გათავისუფლების მიზეზად სკოლაში ახალი მენეჯერის დანიშვნა დაასახელა.ცისანა ჯოიაშვილი სამსახურიდან გათავისუფლებას მისი შვილის, ზურაბ გამეზარდაშვილის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. იგი კოალიცია „ქართული ოცნების" ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფის წევრია.''[13]

ასევე, უნდა აღინიშნოს 2018 წლის 9 დეკემბერს ინსულტით გარდაცვლილი დირექტორის, ია კერზაიას საქმე. გარდაცვლილის შვილი, ბაჩანა შენგელაია აცხადებდა, რომ მისი დედის, ია კერზაიას მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური თვალსაზრისით დევნასა და დისკრიმინაციულ და დამამცირებელ მოპყრობას. მისი მოთხოვნით პროკურატურამ გამოძიება დაიწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცალკეულ თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე.

2019 წლის 23 აგვიასტოს პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა: ,,ჩატარებული სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიებით არ დადასტურდა რომ ია კერზაიას გარდაცვალება დაკავშირებული იყო მის მიმართ არასათანადო/უკანონო მოპყრობასთან და ამიტომ, ქ. ზუგდიდის N6 საჯარო სკოლის ინსპექტირებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დანაშაულის არარსებობის გამო შეწყდა.''[14]

მოცემული ფაქტებიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რამდენად

[12] http://www.electionsportal.ge/geo/incident/1076

[13] http://www.electionsportal.ge/geo/incident/1015

[14] https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-generaluri-prokuraturis-gancxadeba-1-1-1-1-1-1-1

რთულ გარემოში შეიძლება აღმოჩნდეს მასწავლებელი, როცა მის მიმართ დისკრიმინაციას აქვს ადგილი. სკოლა ვერ აღზრდის მოსწავლეს დამოუკიდებელ და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანად, თუკი მასწავლებელი, დირექტორი და სკოლის სხვა თანამშრომლები შეზღუდულნი იქნებიან თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში, თუ შეეშინდებათ აზრის თავისუფლად გამოხატვისა და თავის დაცვისა.

გამოხატვის თავისუფლება

ყველას შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ ეს არ არღვევს სხვის უფლებასა და თავისუფლებას. გამოხატვის თავისუფლება გააჩნიათ როგორც კერძოდ დასაქმებულებს, ასევე საჯარო სამსახურში მყოფ პირებსაც.

,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონის მიხედვით, ისევე როგორც ნებისმიერ მოსწავლესა და მშობელს, ასევე მასწავლებელსაც აქვს აზრის გამოხატვისა და გაჟღერების თავისუფლება. ამ კანონის თანახმად (მოცემული კანონის 2; 3; და 7 პრიმა მუხლი არ ეხება მასწავლებლის უფლებებს):

,, 1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიონ, მიიღონ, შექმნან, შეინახონ, დაამუშაონ ან გაავრცელონ ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენონ სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად, მისაღებად, შესაქმნელად, შესანახად, დასამუშავებლად ან გასავრცელებლად, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

4. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ საქველმოქმედო მიზნებისათვის, დადგენილი წესით მოიზიდონ ნებაყოფლობითი შემოწირულობები. სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური სახსრების ან სხვა სიკეთის გამოძალვა.

5. მოსწავლეს და მასწავლებელს აქვთ სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.
6. სკოლას უფლება აქვს დააწესოს სასკოლო ფორმა ისე, რომ არ შეზღუდოს მოსწავლის და მასწავლებლის გამოხატვის თავისუფლება. მოსწავლეს და მასწავლებელს უფლება აქვთ დასაბუთებული უარი თქვან სასკოლო ფორმის ტარებაზე.''[15]

მასწავლებელს, როგორც საჯარო მოხელეს, აქვს უფლება, გამოხატოს და გამოთქვას საკუთარი აზრი, როგორც სკოლის გარეთ, ასევე სკოლის შიგნით. აქვს უფლება საკუთარ სოციალურ გვერდზე გამოხატოს აზრი. ასევე აქვს უფლება - გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია კანონის ფარგლებით და არ არღვევს სხვათა უფლებებს. არ უნდა შეიზღუდოს მასწავლებლის გამოხატვის თავისუფლება არც პირდაპირი და არც ირიბი მნიშვნელობით, რადგან თუ მასწავლებელს არ შეუძლია კრიტიკული თუ არაკრიტიკული აზრის გამოთქმა სახალხოდ, მაშინ ვერც მომავალ თაობას შეასწავლის თავისუფლებასა და საკუთარი უფლებების დაცვას.

სამწუხაროდ, გამოხატვის თავისუფლების დარღვევა ისეთ განვითარებულ და კანონიერ ქვეყანაშიც კი ხდება, როგორიცაა ამერიკა. მეორად წყაროზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ ,,Pickering v. Board of Education საქმის მიხედვით, მასწავლებელი საჯარო სკოლიდან გათავისუფლების მიზეზი გახდა ის, რომ მან ადგილობრივ ჟურნალში გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი განათლების ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ.''[16]

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

მასწავლებელს აქვს უფლება, წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე, სკოლის ტერიტორიაზე მოაწყოს შეკრება მოსწავლეებთან თუ მშობლებთან,

[15] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 14)

[16] http://mastsavlebeli.ge/?p=12464

ასევე თანამშრომლებთან. ჩაატაროს კრება, პრეზენტაცია, დამრიგებლობითი ხასიათის შეხვედრა, საახალწლო თუ გამოსაშვები ზეიმი და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის ღონისძიებები. ასევე აქვს უფლება, მოსწავლეებთან და მშობლებთან შეთანხმებით, მოსწავლეთა ღონისძიებაზე მოიწვიოს გარეშე პირი, თუ უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე.

,, 1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ წინასწარი შეტყობინების საფუძველზე სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით შეკრების თავისუფლება.

2. დაუშვებელია, სკოლამ წარმართოს ან აკონტროლოს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა შეკრების მსვლელობა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. სკოლას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, დაესწროს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა შეკრებას.

3. გარეშე პირს უფლება აქვს, დაესწროს მოსწავლეთა შეკრებას მხოლოდ მათი მიწვევით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რაც დაკავშირებულია სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.''[17]

მასწავლებლებს აქვთ უფლება გაერთიანდნენ და ერთად ჩაატარონ რაიმე სახის ვიქტორინა ან შეჯიბრება პარალელურ კლასებს შორის. ასევე სხვადასხვა საგნის პედაგოგებს აქვთ უფლება ერთიანი ძალებით ჩაატარონ ინტეგრირებული გაკვეთილი. დაგეგმონ ლაშქრობა და სხვა სახის გასვლითი ღონისძიებები მოსწავლეებსა და მშობლებთან ერთად.

,, 1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ კანონით დადგენილი წესით გაერთიანების თავისუფლება.

2. დაუშვებელია, სკოლა ჩაერიოს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გაერთიანების საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. დაუშვებელია, გარეშე პირმა წარმართოს ან აკონტროლოს მოსწავლეთა

[17] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 15)

გაერთიანება.”[18]

მასწავლემლებს, და არა მხოლოდ მათ, შეკრებისა და გაერთიანების უფლება შეეზღუდათ 2020 წელს, კოვიდ-19 პანდემიიდან გამომდინარე. როგორც სხვა დაწესებულებებში, ასევე სკოლებშიც აიკრძალა თავშეყრის გამომწვევი ღონისძიებები რათა არ მომხდარიყო პანდემიის მეტად გავრცელება. ,,ახალი კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოში კულტურული ღონისძიებების ჩატარება შეჩერდა.”[19]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

როგორც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, ასევე საქართველოშიც, დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. არავის აქვს უფლება ადამიანის პირადი სივრცე დაარღვიოს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:
,, 1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.
2. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი

---

[18] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 16)

[19] https://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&id=10233&lang=geo

აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.''[20]

,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონი მასწავლებლებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ანიჭებს.

,, 1. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ, გაამჟღავნონ ინფორმაცია თავიანთ პირად ცხოვრებაზე.

2. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პერსონალური მონაცემების შეგროვებისას და შენახვისას სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით.

3. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია დისციპლინური მონაცემებისგან განცალკევებით უნდა ინახებოდეს.

4. სკოლას უფლება აქვს მოსთხოვოს მოსწავლეს და მასწავლებელს, გაიარონ სამედიცინო შემოწმება დაავადებებზე, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე. სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი სამედიცინო შემოწმების გავლის ხელმისაწვდომობა.

5. დაუშვებელია მოსწავლისა და მასწავლებლის პირადი ცხოვრების, კერძო კომუნიკაციის, აგრეთვე მოსწავლის და მასწავლებლის პირად სარგებლობაში გადაცემული, სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების ხელშეუხებლობის უფლების თვითნებული შეზღუდვა.''[21]

მიუხედავად მოცემული კანონის სიცხადისა და სისწორისა, დღევანდელ რეალობაში, მაინც ვხვდებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას.

2021 წლის 12 ივნისს, ტელეკომპანია პირველის ეთერში, გაჟღერდა ინფორმაცია მასწავლებლის პირადი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით:

---

[20] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 (მუხლი 15)

[21] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 17)

,,მარნეულში სკოლის პედაგოგს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები მთელ სოფელში გაუვრცელეს. ფაქტზე შსს-მ სკოლის დირექტორი ზაბილ გაჯიევი დააკავა, თუმცა სასამართლომ ის გირაოს სანაცვლოდ უკვე გაათავისუფლა. ბრალდებული ამტკიცებს, რომ პირადი ცხოვრების კადრები მას არ გადაუღია და შურისძიების მსხვერპლია. ის ასევე მიუთითებს, რომ კადრები მას შემდეგ გავრცელდა, რაც რესურს ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე დააწინაურეს.''[22]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის თანახმად: ,, 1. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამოყენება ან/და გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების, ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ანგარებით;

ბ) არაერთგზის,

–ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც სამსახურებრივი მდგომარეობის,

[22] https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/5226-vin-gaavrtsela-skolis-mastsavleblis-piradi-kadrebi-braldebuli-shurisdziebaze

პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ევალებოდა ამ ინფორმაციის ან მონაცემების დაცვა ან რომელმაც აღნიშნული ქმედება ჩაიდინა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (მოპოვება, შენახვა) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელმაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოპოვებული/შენახული ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოებს გადასცა და ჩადენილი/მოსალოდნელი სხვა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაცია ამ გზით მიაწოდა.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.“.[23]

რწმენის თავისუფლება

დემოკრატიული მმართველობის უმთავრესი ღირებულება ადამიანის თავისუფლებაა. საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის მოქალაქეებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას აძლევს. ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ კანონის შესაბამისად დაიშვება.

როგორც სხვა მოქალაქეებს, ასევე საჯარო მოხელეებსაც აქვთ უფლება საკუთარი სურვილისა და შეხედულებების მიხედვით აირჩიონ ან შეცვალონ ნებისმიერი რწმენა. ასევე აქვთ უფლება რწმენის არ ქონისა და ამ საკითხთან დაკავშირებული შეხედულებების გაუმჟღავნებლობისა. დაუშვებელია ადამიანის დევნა ან დისკრიმინაცია მისი რწმენისა და აღმსარებლობის გამო.

,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონი ყველა მასწავლებელს აძლევს

[23] https://matsne.gov.ge/ka/document/download/3298727/0/ge/pdf (მუხლი 157)

უფლებას - გააჩნდეს საკუთარი რწმენა და რელიგია, ემხრობოდეს და ასრულებდეს შესაბამის რიტუალებს სხვათა უფლებების დაურღვევლად:

,,1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კანონით დადგენილი წესით აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება.

2. დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.

3. საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს.

4. საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.''[24]

ამრიგად, სკოლა ვალდებულია, თითოეული მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის შექმნას ის გარემო, რომელშიც არ შეილახება რწმენის თავისუფლება, თავიანთი ნების შესაბამისად შეეძლებათ გაამჟღავნონ ან არ გაამჟღავნონ კუთვნილი აზრი. სკოლამ უნდა დაიცვას თითოეული მოსწავლე თუ მასწავლებელი, რათა არ გახდნენ დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი თავისი რელიგიური შეხედულებებისა და მოსაზრებების გამო.

დისციპლინა

[24] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 18)

სიტყვა დისციპლინა ლათინური ენიდან იღებს სათავეს და ნიშნავს დარიგებას, რჩევასა და აღზრდას. მისი მნიშვნელობა შეიძლება ორი განსაზღვრებით აღვიქვათ:

,,1. მტკიცედ დადგენილი მოქცევის წესი, რომლის დაცვაც სავალდებულოა ამა თუ იმ საზოგადოების (კლასი, კოლექტივი, სკოლა, თემი, ჯგუფი და სხვა) ყველა წევრისათვის. აქედან იწარმოება სიტყვები: დისციპლინური, დისციპლინარული, სადისციპლინო, უდისციპლინო და ა.შ.

2. რაიმე მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი; სასწავლო საგანი (მაგ: საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი ან მათემატიკური დისციპლინები).''[25]

ნებისმიერი სახის საზოგადოების წევრები ისწრაფვიან გარკვეული წესრიგისაკენ, რადგან სწორედ წესრიგი წარმოადგენს საფუძველს დაცულობის, მშვიდობიანი ცხოვრებისა და განვითარებისთვის.

დისციპლინა კულტურულ ქცევასა და მოწესრიგებულობას ასახავს, რაც უმნიშვნელოვანესია სასკოლო ცხოვრებაში, რადგან სწავლა-სწავლების პროცესი სწორედ დისციპლინური ურთიერთგაგებისა და შეგნებულობის საფუძველზე ხდება ხარისხიანი და შედეგის მომცემი.

,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონში ვხვდებით მე-19 მუხლს - დისციპლინა, რომლის 1; 2; 4; 5; 8; 10; 11 და 12 პრიმა მუხლში საუბარია მასწავლებლის უფლებებზე:

,,1. სასკოლო დისციპლინა დაცულ უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

2. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.

4. დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.

[25] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16229

5. დისციპლინური დევნისას სკოლა ვალდებულია განუმარტოს მოსწავლეს ან მასწავლებელს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.
8. დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.
10. დაუშვებელია სკოლის მიერ მოსწავლის ან მასწავლებლის დისციპლინური დევნა იმ ქმედებისთვის, რომელიც მან სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩაიდინა.
11. მოსწავლეს და მასწავლებელს უფლება აქვთ დისციპლინური დევნისას ისარგებლონ დუმილის უფლებით. დუმილის უფლება არ ათავისუფლებს მოსწავლეს და მასწავლებელს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.
12. მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება – დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით.''[26]

მასწავლებელს დისციპლინურ გადაცდომაში შეიძლება ჩაეთვალოს:

- მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსით გათალისწინებული წესების დარღვევა;
- სკოლის წესდების შეუსრულებლობა;
- ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალებების მიღება სკოლის ტერიტორიაზე;
- სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების წესების დარღვევა და სხვა.

მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში განისაზღვრება ,,დისციპლინური სახდელი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომისათვის გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა.''[27]

- შენიშვნა

[26] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 19)

[27] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 4)

▪ საყვედური

▪ სასტიკი საყვედური

▪ გათავისუფლება.

▪ ასევე სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული სხვა სახის სახდელი.

ძალადობის დაუშვებლობა და უსაფრთხოება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად - დაცულია ადამიანის სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა. დაუშებელია ადამიანის წამება, დამცირება, არაადამიანური მოპყრობა და ღირსების შელახვა. ყველა ადამიანი იმსახურებს უსაფრთხო გარემოში ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მასწავლებელს, როგორც საჯარო მოხელეს, სახელმწიფო აძლევს გარანტიას, რომ სამსახურში დაცული იქნება მისი ჯანმრთელობა. ასევე, აღკვეთილი იქნება ყოველგვარი პირდაპირი თუ ირიბი სახის ძალადობა. სკოლა ვალდებულია, დაიცვას როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების ჯანმრთელობა. ამ ვალდებულებას აკისრებს საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' (მოცემული კანონის 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; და 17 პრიმა მუხლი არ ეხება მასწავლებლის უფლებებს):

,,1. დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.''[28]

ხშირია საუბარი მოსწავლეების მიმართ ძალადობის შესახებ, რადგან არაერთი ფაქტი მოწმობს ამას. თუმცა, იშვიათად თუ შევხვდებით რაიმე სახის

[28] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 20)

ინფორმაციას ან ფაქტს მასწავლებელზე ძალადობის შესახებ. ხშირად მასწავლებლები ვერ აცნობიერებენ მათ მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს და ისე ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი სკოლის, მშობლების ან თავად მოსწავლეების მხრიდან.

2019 წლის 28 სექტემბერს, რუსთავის N5 საჯარო სკოლაში, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ,,მე-6 კლასის მოსწავლემ პედაგოგი კიბებიდან დააგორა. შემთხვევის შედეგად მასწავლებელი ტვინის შერყევით კლინიკა რუსთავში მოათავსეს.''[29]

ფიზიკური ძალადობისგან განსხვავებით, საკმაოდ ხშირია მასწავლებლების მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა, მშობლებისა თუ მოსწავლეების მხრიდან, თუმცა, მსგავსი პრობლემები სკოლაშივე გვარდება დამრიგებლისა და დირექტორის ჩარევით ან მათ გარეშეც.

2020 წლის 27 თებერვალს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში დაფიქსირდა კორონა ვირუსის პირველი შემთხვევა. შესაბამისი რეაგირების მიუხედავად, ვირუსმა გავრცელება დაიწყო და საფრთხის ქვეშ დადგა ყველა მოქალაქის ჯანმრთელობა. იმისათვის, რომ არ მომხდარიყო მოსწავლეებისა და სკოლაში მომუშავე პერსონალის დაინფიცირება, ჯანდაცვის სამინისტრომ ყველა სკოლას გადაუგზავნა ინსტრუქციები რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებდნენ. სიტუაციის გამწვავების ფონზე, სკოლები გარკვეული დროით გადავიდნენ ონლაინ სწავლების რეჟიმში, რაც სწორად გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჯანმრთელობის დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლების დაინფიცირების ცალკეული შემთხვევები დაფიქსირდა, არსებული სიტუაციის დროულად გაანალიზებისა და მიღებული რეგულაციების შედეგად, ამას მასიური სახე არ მიუღია.

---

[29] https://inforustavi.ge/?m=31&news_id=11795

მასწავლებლის სხვა უფლებები

საქართველოს კანონში ,,ზოგადი განათლების შესახებ'' ასევე მოცემულია მასწავლებლის სხვა უფლებებიც რომლითაც სარგებლობს პედაგოგი. (მოცემული კანონის 1^1 და 1^2 პრიმა მუხლი არ ეხება მასწავლებლის უფლებებს)

,, 1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დაწესებულებას მუშაობისთვის აუცილებელი პირობების შექმნა;

ბ) მიიღოს შრომის ანაზღაურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით;

გ) აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით;

დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. მასწავლებლის შრომის ანაზღაურება სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურის მინიმალურ ხელფასზე ნაკლები.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მასწავლებელს შორის შრომითი ხელშეკრულება იდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

4. მასწავლებლის შრომის ანაზღაურება იზრდება საჯარო სკოლის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად.''[30]

მართლაც, მასწავლებელს აქვს უფლება, სკოლას მოსთხოვოს საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნებისა და უკეთ წარმართვისთვის საჭირო ინვენტარი - კომპიუტერი, პრინტერი, პროექტორი და სხვა.

[30] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 21)

საყურადღებოა ,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონის 21-ე მუხლში მოცემული მასწავლებლის ვალდებულებები. ამ ვალდებულებებიდან ერთერთი მასწავლებელს ავალდებულებს ,,ჩაერთოს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.''[31] ამ მხრივ მასწავლებლებს ხელს უწყობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვები: რამდენად სასარგებლო და აუცილებელია სავალდებულო ტრენინგების გავლა მასწავლებლებისთვის? ყველა მასწავლებელს ერთნაირად ესაჭიროება თუ არა ამ ტრენინგების გავლა? რამდენად კანონიერია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილი სავალდებულო ტრენინგების გავლა მაშინ, როცა მასწავლებელს საზაფხულო შვებულება ეწყება?

ჩატარებული არაერთი ტრენინგიდან ბევრი სასარგებლო და აუცილებელია. განსაკუთრებით საჭირო ინფორმაციის მიღება და ათვისება მოხდა ონლაინ სწავლების დროს, როცა მასწავლებლებს ტექნოლოგიების გამოყენება უწევდათ. თუმცა, იყო ისეთი ტრენინგები, რომლებიც მხოლოდ წინარე ცოდნის გახსენებას წარმოადგენდა და დროის ფუჭი ხარჯვა იყო იმ მასწავლებლებისთვის, რომლებსაც ეს ყველაფერი კარგად ნასწავლი და გათვითცნობიერებული ჰქონდათ.

,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებაში ცვლილებები შევიდა 2020 წლის 26 ივნისს.

მე-4 მუხლის 1 პრიმამუხლის თანახმად ,,ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, საჭიროებებიდან გამომდინარე, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან

[31] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 21)

დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგკურსის/კურსების გავლა:
ე.ა) უფროსი მასწავლებელი გაივლის ტრენინგს მინიმუმ 20 საკონტაქტო საათი;
ე.ბ) წამყვანი მასწავლებელი გაივლის ტრენინგს მინიმუმ 12 საკონტაქტო საათი;
ე.გ) მენტორი მასწავლებელი გაივლის ტრენინგს მინიმუმ 6 საკონტაქტო საათი;"[32]

მოცემული ტრენინგი ტარდება 2021 წლის ივნისი-ივლისში ეტაპობრივად, სხვადასხვა ჯგუფებთან. ზოგიერთი ჯგუფი ტრენინგს ამთავრებს 7 ივლისამდე, ზოგი კი ვერა. მოცემულ შემთხვევაში მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის უფლებები ირღვევა, რადგან 7 ივლისს მასწავლებლები ოფიციალურად გადიან შვებულებაში და ფაქტია, შვებულების დროსაც უწევთ მუშაობა და ტრენინგზე დასწრება.

იმისათვის, რომ არ მოხდეს მასწავლებელთა უფლებების დარღვევა და ზედმეტად გადატვირთვა, აუცილებელია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კარგად დაიგეგმოს და ჩამოყალიბდეს ტრენინგების შინაარსობრივი მხარე და მათი ჩატარების დროები.

ბუნებრივია, სწავლა-სწავლების პროცესის განმსაზღვრელი, განმახორციელებელი და პასუხისმგებელი მასწავლებელი თავადაც არ იტყვის უარს განვითარებასა და წინსვლაზე. პირიქით, არსებულ ტრენინგებს დიდი ენთუზიაზმითა და მოლოდინით აღსავსე შეხვდება, თუკი მოცემული ტრენინგები სწორად შერჩეული მიმართულებითა და სწორად შერჩეულ დროს განხორციელდება.

[32] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907094?publication=0 (მუხლი 4)

თავი II

მასწავლებლის მოვალეობები

,,ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს, ერთ წიგნს და ერთ კალამს შეუძლია შეცვალოს მსოფლიო.'' [33]- ეს სიტყვები ეკუთვნის მალალა იუსუფზაის, პაკისტანელ აქტივისტსა და ნობელის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელს, რომელმაც 11 წლის ასაკში გამოთქვა პროტესტი მისი განათლების უფლების დაცვის მიზნით.

ეს სიტყვები ჭეშმარიტი შინაარსის მატარებელია. მართლაც, ერთმა ადამიანმა შესაძლოა მხოლოდ ერთი მასწავლებლის დახმარებით მიიღოს და განავითაროს ცოდნა. მხოლოდ ერთი კალმის გამოყენებით დაწეროს წიგნი, რომელიც მსოფლიოს მოივლის და თითოეულ მკითხველში სულ მცირე დაფიქრების მიზეზი მაინც გახდება ადამიანის არსებობაზე.

სწავლასა და სამყაროს შეცნობას ადამიანი დაბადებიდანვე იწყებს და ცხოვრების ბოლომდე აგრძელებს. სკოლამდელი და სკოლის პერიოდი, განსაკუთრებით დაწყებითი კლასები, ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობების აღმოჩენას, ხელშეწყობასა და გაზრდას ემსახურება. ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანის განათლების, შეგნებისა და ჰუმანურობის დონე,

[33] https://www.goodreads.com/quotes/914955-one-child-one-teacher-one-book-one-pen-can-change

რომელიც მოსწავლეს საგნობრივი თუ ცხოვრებისეული განვითარების გზაზე მეგზურად წარუძღვება.

მასწავლებელს, რომელიც მოსწავლეს განათლებისაკენ სავალ ბილიკებს გაუკვალავს, უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მის ხელშია ბავშვის მომავალი. მშობლების შემდეგ ბავშვს დამრიგებლად და მრჩევლად მასწავლებელი ევლინება. სწორედ მას ეკისრება ძირითადი მოვალეობა ბავშვის გონებრივ განვითარებაზე. მან უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლის ინდივიდუალური უნარ-ჩვევების აღმოჩენასა და განვითარებას.

საამაყო და ბედნიერების გამომწვევია ის ფაქტი, რომ მასწავლებლის მიერ გაწეული შრომა, თითოეულ მოსწავლეში ჩადებული სიკეთე, სიყვარული, სწავლა და განათლება დადებით შედეგს იღებს. მაგრამ, ვინ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებლის მიერ ერთი არასწორი სიტყვის ან ქმედების შედეგად მოსწავლეს ეკარგება სწავლის სურვილი და მისი ცხოვრება ერთი ფაქტის გამო მთლიანად იცვლება?.

ცხადია მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამჟღავნების შემთხვევებს ყოველთვის მოჰყვება რეაგირება სამართალდამცავების მხრიდან. თუმცა, ჩნდება მორიგი კითხვა - დაეხმარება თუ არა ეს მოსწავლეს, რომ ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში გააგრძელოს?. რთულია იმის თქმა, რომ მომხდარი უსიამოვნო შემთხვევა მოსწავლისთვის მალე მიეცემა დავიწყებას და მისთვის ტრამვის გამომწვევ მიზეზად არ იქცევა.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა თავიდან აიცილოს მოსწავლის ცხოვრებაში უარყოფითი კვალის დატოვების ფაქტი, აუცილებელია, კარგად ესმოდეს რა ვალდებულებები აკისრია მოსწავლის მიმართ. როგორ უნდა იმოქმედოს და ისაუბროს მოზარდებთან მიმართებაში. იყოს მომთმენი, მეგობრული, ლმობიერი და გამგები რთულად აღსაზრდელ მოსწავლეთა მიმართ.

პედაგოგს მოსწავლეების გარდა ურთიერთობა უწევს მშობლებსა და სკოლაში მომუშავე პერსონალის მიმართ, სწორედ ამიტომ გათვითცნობიერებული და გააზრებული უნდა ჰქონდეს ის ვალდებულებები და მოვალეობები რომლებიც მშობლებისა და სკოლის თანამშრომლების მიმართ ეკისრება, რადგან სასკოლო ცხოვრება არა მხოლოდ მოსწავლისა და მასწავლებლისგან, არამედ მშობლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლებისგან შედგება და მათ შორის კომუნიკაცია აუცილებელია.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ[1]დ“ ქვეპუნქტში მოცემულია მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომლის ცნება და მიზანია:

,,1. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში – „ეთიკის კოდექსი“) ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მასწავლებელს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება.

2. ეთიკის კოდექსის მიზანია მასწავლებლის სავალდებულო პროფესიული ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრება.

3. სკოლის შინაგანაწესი უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის კოდექსს.''[34]

მასწავლებელს აკისრია ვალდებულება, რომ გაეცნოს და დაემორჩილოს იმ წესებს, რომლებიც მოცემულია მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსში და სკოლის შინაგანაწესში.

სკოლის შინაგანაწესი იქმნება თითოეული სკოლისთვის ინდივიდუალურად, შესაბამისად, მოცემული ვალდებულებებიც კონკრეტული სკოლის მასწავლებლებზე ვრცელდება.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსში წარმოდგენილია მასწავლებლის მიმართ დაკისრებული შემდეგი მოვალეობები:

[34] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 26)

▪ პროფესიული კომპეტენტურობა

▪ მოსწავლეებთან ურთიერთობა

▪ მშობლებთან ურთიერთობა

▪ სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობა

პედაგოგს, მასწავლებლის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთქვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა - ,,მასწავლებლის მიერ ეთიკის კოდექსის უხეში ან სისტემატური დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობისა და მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.''[35]

პროფესიული კომპეტენტურობა

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსში მოცემულია პედაგოგის პროფესიულ კომპეტენტურობასთან დაკავშირებული ის მოვალეობები და ვალდებულებები რომლის შესრულება და დაცვა აუცილებელია.

,,1. მასწავლებელი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია.

2. პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ეთიკის კოდექსის ნორმებით.

3. მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას.

4. მასწავლებელი, თავისი პროფესიული საქმიანობისას, სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა

[35] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 (მუხლი 7)

და გარემოს დაცვის მაგალითს აძლევს მოსწავლეებს.

5. მასწავლებელი იცავს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. მასწავლებელი თავისი საქმიანობისას ყოველთვის პუნქტუალურია და აცვია მოწესრიგებულად.

7. მასწავლებელი მეტყველებს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით.

8. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს პედაგოგიური საქმიანობისთვის განკუთვნილ დროს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

9. მასწავლებელი უფრთხილდება სკოლის ქონებას და მიზანმიმართულად იყენებს სკოლის რესურსებს.

10. მასწავლებელი არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის.

11. მასწავლებელი ზრუნავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.”[36]

ბავშვებს კეთილი და მოსიყვარულე დამრიგებელი სჭირდებათ. მათთვის მნიშვნელოვანია იმ ადამიანთან ურთიერთობა, ვინც მათ აზრებს უსმენს და პატივს სცემს, ვისაც სჯერა მათი და პრობლემის არსებობის შემთხვევაში მათი მოგვარების გზების პოვნაში ეხმარება. მასწავლებელი აუცილებლად მიუკერძოებელი უნდა იყოს ბავშვების და არა მხოლოდ ბავშვების მიმართ, რათა მოსწავლეებმა მასში სანდომიანი და საიმედო მეგობარი და დამრიგებელი დაინახონ. მასწავლებელი ასევე ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა მოსწავლეებთან, მშობლებთან და სკოლის თანამშრომლებთან ურთიერთობისას.

პედაგოგის მოვალეობა მხოლოდ საგნობრიცი ცოდნის გადაცემა არ არის. მან უპირველესყოვლისა, უნდა შეძლოს თითოეული მოსწავლის

[36] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 (მუხლი 3)

დახმარება, რომ ბავშვებმა ისწავლონ მეგობრობა, ჰუმანურობა, თანადგომა, პატივისცემა, მოსმენა, აზრთა გაზიარება-გათვალისწინება და კიდევ ის არაერთი ცნება, რომელთა დახმარებითაც ბავშვები დემოკრატიის ცნებას გაიაზრებენ, ჩამოყალიბდებიან საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და ამ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას შეძლებენ.

მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეს მისცეს ინფორმაცია და მაგალითი ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. დაეხმაროს იმ უარყოფითი შედეგების განსაზღვრაში, რაც მავნებელი საკვებისა თუ სასმელის შედეგად მიიღება. ასევე მაგალითი უნდა იყოს მოსწავლეებისთვის დისციპლინური ქცევის გამოვლენაში.

პედაგოგს ევალება მუდმივად პროფესიულ წინსვლაზე და განვითარებაზე ზრუნვა, რათა შეძლოს სიახლეების აღმოჩენა, გაგება, გააზრება და დანერგვა. ადამიანი, რომელიც მოსწავლეებისგან ყოველდღიურ შრომასა და ცოდნის გაღრმავებასა და წინსვლას მოელის, თავად უნდა გადიოდეს ამ გზას და მაგალითი გახდეს ბავშვებისთვის.

მასწავლებლის ვალდებულებები მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს

მასწავლებელს, როგორც საჯარო მოხელეს, რომელიც სკოლის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, ძირითადი მოვალეობები და ვალდებულებები მოსწავლეებთან მიმართებით ეკისრება, რადგან უშუალო და ყოველდღიური კავშირი სწორედ მასწავლებელს და მოსწავლეს აქვთ.

ამ საპასუხისმგებლო პროფესიას თან ახლავს გარკვეული სირთულეები. ნამდვილად რთულია გაიგო და ამოიცნო თითოეული მოსწავლის ხასიათი, იყო ზომიერად მკაცრი, მეგობრული, მომთხოვნი და მომთმენი. შეგეძლოს მათი შექება წარმატების დროს და გამხნევება წარუმატებლობის შემთხვევაში.

აუცილებელია აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ახლო

ურთიერთობის ჩამოყალიბება. ბავშვს უნდა შეეძლოს თამამად ისაუბროს მასწავლებელთან ამა თუ იმ საკითხზე და ჰქონდეს იმედი - გაგების, თანადგომისა და დახმარების.

სამწუხაროდ, სხვადასხვა ტელევიზიებიდან თუ ინტერნეტ სივრციდან ხშირად ვიგებთ ბავშვზე ძალადობაზე ინფორმაციას. ასეთი შემთხვევების დროს კითხვები ჩნდება იმ მასწავლებლებისა თუ დირექტორების მიმართაც, რომლებსაც ბავშვთან კონტაქტი აქვთ, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, სკოლის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ინფორმაციის გავრცელებამდე რაიმე ძალადობის კვალი ან საეჭვო ვითარება არ შეუმჩნევიათ.

მასწავლებლებმა უნდა შეძლონ ბავშვებთან მჭიდრო და ურღვევი კავშირის დამყარება. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ გვერდით არის ის უფროსი მეგობარი, რომელსაც ენდობიან და გაესაუბრებიან ნებისმიერ პრობლემასა თუ სირთულეზე.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსში მოცემულია ის ვალდებულებები, რომლებიც მასწავლებელს ეკისრება მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს:

,,1. მასწავლებელი ითავსებს მოსწავლის მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად და, მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, ეხმარება მას პირადი პრობლემების მოგვარებაში.

2. მასწავლებელი არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას.

3. მასწავლებელი არ უწევს საკუთარ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მასწავლებელი ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს მოსწავლეთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.

5. მასწავლებელი, სასწავლო პროცესის განმავლობაში, ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე.

6. მასწავლებელი მაგალითს აძლევს და ეხმარება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

7. მასწავლებელი, მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს, იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.

8. მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.

9. მასწავლებელი არ ეწევა მოსწავლეებთან რელიგიურ (გარდა იმ სკოლების მასწავლებლებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკურ პროპაგანდას.

10. მასწავლებელი არ იყენებს მოსწავლის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის.

11. მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.''[37]

მასწავლებლის ვალდებულებებიდან ერთერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პრიმამუხლი, რომლის მიხედვით, მასწავლებელს ეკრძალება მოსწავლის მიმართ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა და ზეწოლა.

ბავშვთა უფლებებზე დაუღალავმა საუბარმა და ამ უფლებების მოსწავლეებისთვის, მშობლებსა და მასწავლებლებისთვის გაცნობამ საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები ჯერ ისევ გვხვდება, საბედნიეროდ, ამას მასიური სახე არ აქვს.

[37] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 (მუხლი 4)

უახლოეს წარსულში მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები ძალადობად არ თვლიდნენ ყურის აწევას, თმის მოქაჩვას, სიტყვიერ შეურაცხყოფას და მსგავს ქმედებებს. მასწავლებელს არავინ სთხოვდა პასუხს თუკი მოსწავლეს მიმართავდა ისეთი დამამცირებელი სიტყვებით, როგორიცაა: ,,დებილო'', ,,უცოდინარო'', ,,ოროსანო'' და სხვა. პედაგოგის მხრიდან მსგავს დამამცირებელ მიმართვისა და რეპლიკებს მასიური სახე ჰქონდა და მოსწავლეებს არ შეეძლოთ თავის დაცვა, რადგან არ სცნობდნენ თავიანთ უფლებებს.

დღევანდელ რეალობაში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორებულია, თუმცა მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები ისევ არსებობს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცნობით, 2016-2017 წლებში მოსწავლეზე ფიზიკური ძალადობის გამო 23 მასწავლებელი გაათავისუფლდა. ,,2016 წელს იყო 14 შემთხვევა გათავისუფლების. 2017 წელს, იანვრიდან დღემდე ჯამურად დაფიქსირდა 9 გათავისუფლება, აქედან 4 შემთხვევა მოხდა მიმდინარე სასწავლო წელს ანუ სექტემბრიდა''[38]

იმისათვის, რომ მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეზე ძალადობა სრულად აღმოიფხვრას, აუცილებელია ყველა მასწავლებელმა გაიაზროს მასზე დაკისრებული მოვალეობები. მოსწავლეები უნდა იყვნენ სრულად ინფორმირებულები და საკუთარ უფლებებში გარკვეულნი, რათა თავის დაცვა და გაპროტესტება შეძლონ პედაგოგის მხრიდან არასწორი ქმედების გამომჟღავნების შემთხვევაში.

მასწავლებელი ვალდებულია არ გამოიყენოს მოსწავლის ფიზიკური და ინტელექტუალური შრომა თავისი მიზნებისთვის. მას არ აქვს უფლება, რომ მოსწავლეები დაასაქმოს თვითნებურად არასაგანმანათლებლო საქმის შესასრულებლად.

[38] https://edu.aris.ge/news/2016-wlidan-moswavleze-fizikuri-dzaladobis-mizezit-23-maswavlebeli-gatavisuflda-saministro.html

მასწავლებელი ვალდებულია სიმშვიდე და მოთმინება გამოიჩინოს სკოლაში არსებული კონფლიქტური სიტუაციის დროს, იქნება ეს მოსწავლესა და მასწავლებელს თუ მოსწავლეებს შორის კონფლიქტი. მან უნდა შეძლოს სიტუაციის გაცნობა, განსაზღვრა და გაანალიზება, რათა იპოვოს ამ პრობლემის მოგვარების გზა და მოსწავლეებსაც მისცეს დავის მშვიდობიანად მოგვარების მაგალითი.

მაშინ, როცა მასწავლებელი ცნობს და იცავს თავის მოვალეობებსა და ვალდებულებებს, იგი კანონის ძალით მოქმედებს. ამგვარი ქმედებების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს მაგალითს და აღუძრავს სურვილს რომ გააჩნდეთ დამოუკიდებლობა, ტოლერანტობა, სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, აზრის გამოხატვის თავისუფლება, სხვათა პატივისცემა და მოსმენის კულტურა.

მასწავლებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობის დროს

მასწავლებლებს გარკვეული ვალდებულებები ეკისრებათ მოსწავლეთა მშობლების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგებს საგაკვეთილო პროცესის დროს ურთიერთობა მოსწავლეებთან უწევთ და არა მშობლებთან, გაკვეთილის გარეთ მშობლებთან კომუნიკაცია აუცილებელია.

ბავშვის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში უპირველესი როლი მშობელს აკისრია, სწორედ ამიტომ, მოსწავლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებლისა და მშობლის დადებითი ხასიათის ურთიერთობა და თანამშრომლობა.

მასწავლებლისა და მოსწავლის მშობლის თანამშრომლობის უმთავრესი

პირობა ეთიკის ნორმების დაცვაა.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლში მოცემულია მასწავლებლის ვალდებულებები და მოვალეობები მშობლებთან ურთიერთობისას:

,,1. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და, საჭიროების შემთხვევაში, აწყობს მასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს.

2. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და თავაზიანია მასთან ურთიერთობისას.

3. ყოველი სასწავლო ტრიმესტრის დასაწყისში მასწავლებელი განმარტებებს აძლევს მშობლებს სასწავლო გეგმისა და მის მიერ არჩეული სწავლების მეთოდების შესახებ.

4. მასწავლებელი, მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, მშობელს დროულად და ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ.

5. მასწავლებელს, თუ ის კლასის დამრიგებელია, აქვს ყველა მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად შეძლოს მშობელთან დაკავშირება.

6. მასწავლებელი ატყობინებს მშობელს მოსწავლის დისციპლინური დარღვევის შესახებ და ხელს უწყობს მის ჩართვას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინურ წარმოებაში.

7. მასწავლებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში, ან მის ჯანმრთელობას და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა.''[39]

მასწავლებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში აუხსნას და განუმარტოს მშობლებს ის გეგმები, იდეები, პროექტები, ღონისძიებები და სხვა სახის აქტივობები, რომლის განხორციელებასაც გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში. წინასწარი კომუნიკაციით პედაგოგი თავიდან აიცილებს

[39] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 (მუხლი 5)

შემდგომში რაიმე სახის გაურკვევლობასა და აღშფოთებას მშობლების მხრიდან.

პედაგოგი მოვალეა მშობელს დროულად მოახსენოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე ან გაუარესებაზე, რათა მოხდეს სწრაფი და შესაბამისი რეაგირება მოსწავლის მიმართ. იქნება ეს მოსწავლის დამსახურებული შექება თუ გასაუბრება სწავლის დონის გაუარესების მიზეზებზე.

მშობელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შვილის მიერ დისციპლინური დარღვევის შესახებ ინფორმაცია. ასევე, დაუყოვნებლივ უნდა შედგეს კონტაქტი მასწავლებელსა და მშობელს შორის, თუ მოსწავლე არ გამოცხადდება სკოლაში ან გაკვეთილების დასრულებამდე დატოვებს სკოლის შენობას. ასეთ ფაქტებზე სწრაფი რეაგირების მოხდენა შეამცირებს ან სრულად აღმოფხვრის შესაძლო საფრთხის არსებობას.

მეორად წყაროზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ ,,იმ შემთხვევაში, როცა მაღალი იყო მშობლებისა და პედაგოგების თანამშრომლობის ხარისხი, მოსწავლეები იყვნენ ბევრად უფრო სოციალურები და ჰქონდათ მაღალი აკადემიური მოსწრება. ამასთან, მასწავლებელსა და მშობელს შორის კარგი ურთიერთობის შექმნა დიდწილად პედაგოგზეა დამოკიდებული. მას ევალება ამ კავშირის მართვა.

მასწავლებელსა და მშობელს შორის მჭიდრო ურთიერთობის შექმნის რამდენიმე გზა არსებობს:

1. ისწავლეთ მათი სახელები – საკუთარი სახელი ყველასთვის მნიშვნელოვანია და კარგი ურთიერთობის დამყარების პირველ ეტაპზე აუცილებელია, იცოდეთ თქვენი მოსწავლის მშობლის სახელი.

2. იყავით დაკვირვებული – სანამ გამოიყენებთ ფრაზას „თქვენი შვილი“ დარწმუნდით, რომ ის მართლაც შვილია. სანამ კარგად გაიცნობთ, ფრთხილად დაუსვით ღია კითხვები. გაითვალისწინეთ, რომ უამრავი ტიპის ოჯახი და მშობელი არსებობს – განქორწინებული, აყვანილი ბავშვით, დაუქორწინებელი, ქმრის შვილის აღმზრდელი…

3. გააკეთეთ განცხადება – უთხარით, რომ თქვენ მათთან თანამშრომლობა

გსურთ და ყოველთვის მზად ხართ მითითებების მისაღებად.

4. ხშირი კომუნიკაცია – სასურველია, კვირაში ერთხელ გააცნოთ კლასის სიტუაცია. მშობლებს ყოველთვის აინტერესებთ, რა ხდება მათი შვილის კლასში, ასე რომ , ნუ დაადებთ ტაბუს ამ საკითხს. თამამად ისაუბრეთ პრობლემებზე და შეეცადეთ, მათთან ერთად იპოვოთ გადაჭრის გზები.

5. აცნობეთ კარგი ახალი ამბავი – თუ ბავშვმა მაღალი ქულა დაიმსახურა, წინა ნიშანი გამოასწორა ან რომელიმე პედაგოგმა თქვენთან შეაქო, დაუყოვნებლივ აცნობეთ ეს მის მშობელს.

6. დაუსვით კითხვები – რას აკეთებს სკოლის შემდეგ? რა აინტერესებს ყველაზე მეტად? როგორ ფიქრობთ, რა არის მისი საუკეთესო თვისება? – მსგავსი კითხვებით მშობელზე შთაბეჭდილებას აუცილებლად მოახდენთ

7. მოუსმინეთ მშობლებს – მართლა მოუსმინეთ. მათ ძალიან ბევრი იციან საკუთარი შვილების შესახებ და ეს თქვენ გჭირდებათ.

8. გაუღიმეთ ბავშვს – თუ მშობელს ბავშვის თანდასწრებით ესაუბრებით, გაუღიმეთ მოსწავლეს და დაამყარეთ თვალებით კონტაქტი მასთან

9. სთხოვეთ დახმარება – ზოგჯერ მშობლებს უნდათ იყვნენ აქტიური მშობლები, მაგრამ არ იციან, რა გააკეთონ. თუკი ასეთ ინტერესს შეამჩნევთ, შესთავაზეთ კლასის საქმეებში დახმარება. ყოველთვის მოიძებნება რაღაც, რაშიც ისინი თქვენს დახმარებას შეძლებენ. ეს შეიძლება იყოს, ღია გაკვეთილის მოწყობა ან რაიმე ტიპის არასტანდარტული გაკვეთილისთვის მზადება.

10. იყავით მომთხოვნი – სთხოვეთ მშობლებს, დაეხმაროს საშინაო დავალების შესრულებაში ან ჩაიბაროს გაკვეთილები ან წაიკითხოს წიგნები მასთან ერთად.

11. აუხსენით თქვენი გადაწყვეტილებების მნიშვნელობა – თუკი მშობელი განათლების სისტემას არ იცნობს,დაეხმარეთ გაერკვეს მასში. აუხსენით თქვენი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მიზანი და მიზეზი.

12. გამოხატეთ მადლიერება – გადაუხადეთ საჯარო მადლობა, თუკი რაიმეში დაგეხმარათ (კლასის საქმეებში,მის შვილთან ურთიერთობის გამოსწორებაში,

ბავშვის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში...)''[40]

მშობელთა უმეტესობა ესაუბრება დამრიგებელს მოსწავლის ყოფაქცევასა და სწავლის დონეზე. თუმცა ცხადია, რომ მიღებული ინფორმაცია ამომწურავი არ არის. აუცილებელია თითოეულ პედაგოგს ჰქონდეს უშუალო კავშირი მშობლებთან.

მსოფლიო მასშტაბით არაერთ წარმატებულ სკოლაშია შექმნილი ეგრედწოდებული - მშობელთა კლუბი. ისინი მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან ერთად აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ღონისძიებებში და აქტივობებში. მათი დახმარებით მოზარდთათვის სწავლა მეტად სახალისო და შედეგიანია.

მასწავლებლის ვალდებულებები სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობისას

მასწავლებელს აკისრია გარკვეული ვალდებულებები სკოლის დირექციის, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, მასწავლებლის ვალდებულებებია:

,,1. მასწავლებელი თანაბარი პატივისცემით ეპყრობა სკოლის დირექციას, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა.

2. მასწავლებელი უზიარებს შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს და თანამშრომლობს მათთან.

3. მასწავლებელი თანამშრომლობს სკოლის მანდატურთან და ითვალისწინებს

[40] https://edu.aris.ge/news/ra-mnishvneloba-aqvs-maswavleblebisa-da-mshoblebis-pozitiuri-urtiertobas-tanamshromlobis-12-gza.html

მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

4. მასწავლებელი თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და თავისი წვლილი შეაქვს სკოლის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში.''[41]

მასწავლებელი ვალდებულია თანაბარი პატივისცემა და ზრდილობა გამოიჩინოს სკოლის დირექციის, კოლეგებისა თუ სკოლაში მომუშავე სხვა თანამშრომელთა მიმართ, მიუხედავად მათი ასაკის, სქესის, რასის, წარმომავლობის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, განათლების, გამოცდილებისა და სხვა პიროვნული თავისებურებების მიუხედავად.

პედაგოგს ეკრძალება დისკრიმინაციული ქმედების განხორციელება ან სიტყვიერი შეურაცხყოფა სკოლაში მომუშავე პერსონალის მიმართ.

მასწავლებელს ევალება კოლეგებთან ურთიერთობა და გაზიარება იმ ცოდნისა და გამოცდილებისა რომელიც აქვს ან მუშაობის პროცესში შეიძენს. ასევე მოვალეა კოლეგებს გაუზიაროს აღმოჩენილი სიახლეები და ერთობლივი მუშაობის საფუძველზე განახორციელონ და დანერგონ სასწავლო პროცესში.

კოლეგიალურობა ერთერთი ძირითადი და საჭირო თვისებაა პედაგოგისთვის. ,,პედაგოგთა კოლეგიალობა – ეს არის მუდმივი მზადყოფნა თანამშრომლობისთვის, პედაგოგიური გამოცდილების, ხელმისაწვდომი ინფორმაციისა თუ ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების უანგარო გაზიარებისთვის, რაც, თავის მხრივ, აუცილებელი წინაპირობაა როგორც თავად მისი, ასევე მისი კოლეგების პროფესიული განვითარებისა და სწავლება-სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა, საბოლოო ჯამში კი – სკოლის პრესტიჟისა და მისი შემდგომი განვითარებისა.''[42]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგისა და მანდატურის ურთიერთობა და თანამშრომლობა. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა მიიღოს საჭირო ინფორმაცია მანდატურისგან და თავადაც ჩააყენოს საქმის კურსში მოსწავლის შეუფერებელი ქმედების გამო, თუ ამის საჭიროება იქნება.

---

[41] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 (მუხლი 6)

[42] http://mastsavlebeli.ge/?p=2517-

ზოგჯერ არის შემთხვევა, როცა მოსწავლე გაკვეთილიდან იპარება და მასწავლებელი ამ ფაქტს უყურადღებოდ ტოვებს. ამგვარ ქმედებას შესაძლოა მრავალი უარყოფითი და გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოჰყვეს. მასწავლებლის მხრიდან სწრაფი რეაგირება ასეთ არასასიამოვნო ფაქტებს შეამცირებს.

მასწავლებელი მუდმივად უნდა ეძიებდეს და ეცნობოდეს საჭირო ინფორმაციებსა და სიახლეებს. მას შეუძლია სწავლებისთვის საჭირო იდეების მიწოდება სკოლის დირექციისა და სხვა თანამშრომლებისთვის. მაგალითად, სხვადასხვა სახის აქტივობების, ვიქტორინისა და შეჯიბრებების მოწყობა. მსგავსი ღონისძიებები მოსწავლეთა საგანმანათლებლო სივრცეს უფრო ლამაზს, მხიარულსა და მრავალფეროვანს გახდის.

მასწავლებლის სხვა ვალდებულებები

ბავშვებს პოზიტიური, საინტერესო და უსაფრთხო სასწავლო გარემო სჭირდებათ, სადაც ხარისხიანი განათლების მიღებას შეძლებენ, სწორედ ამიტომ, მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეზე ორიენტირებული კლასი და სასწავლო პროცესი შექმნას. მას უნდა შეეძლოს ბავშვებს შორის არსებული კონფლიქტის სწრაფად და ეფექტიანად მოგვარება.

პედაგოგმა უნდა შეძლოს მოსწავლეთა მამოტივირებელი გარემოს შექმნა, მათთვის სახალისო და მრავალფეროვანი დავალებების შეთავაზება, რათა სასწავლო პროცესში მარტივად ჩაერთოს ყველა მოსწავლე (მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების). მასწავლებელმა ასევე უნდა შეძლოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება, მოსწავლეების თვითრეგულირებადი ქცევის წახალისება. პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა მისცეს თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა.

საქართველოს კანონის ,, ზოგადი განათლების შესახებ'' 21-ე მუხლის

მიხედვით

,, 1^1. მასწავლებელი ვალდებულია:

ა) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება;

ა^1) უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში;

ბ) იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე;

გ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;

დ) ჩაერთოს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში (ეს ვალდებულება არ ვრცელდება მოწვეულ მასწავლებელსა და შემცვლელ მასწავლებელზე);

ე) დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;

ვ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი წესებით მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.''[43]

მასწავლებელს აქვს სქემით განსაზღვრული სტატუსი, რომელიც ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ეს სტატუსებია:

,,**პრაქტიკოსი მასწავლებელი** – პირი, რომელიც პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით ჩართულია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და არ აქვს უფროსი, წამყვანი ან მენტორი

[43] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 (მუხლი 21)

მასწავლებლის სტატუსი, და რომელიც პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

უფროსი მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც დადგენილი წესით მინიჭებული აქვს ან ამ სქემის საფუძველზე მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი;

წამყვანი მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც დადგენილი წესით მინიჭებული აქვს ან ამ სქემის საფუძველზე მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი;

მენტორი მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც დადგენილი წესით მინიჭებული აქვს ან ამ სქემის საფუძველზე მიენიჭება მენტორი მასწავლებლის სტატუსი.''[44]

,,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი'' კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა, დამატებით მოთხოვნებს უყენებს წამყვან და მენტორ მასწავლებლებს.

წამყვანი მასწავლებლი:

,,1. ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე: ეხმარება კოლეგებს მათი საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების/სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში.

2. საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციებს უწევს ტუტორებს/პრაქტიკის ხელმძღვანელებს ან თავად ასრულებს ტუტორის/პრაქტიკის ხელმძღვანელის ფუნქციებს.

3. აქვს ზოგადი განათლების სისტემის ფართო ხედვა. ეცნობა ზოგადად

[44] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907094?publication=0 (მუხლი 3)

განათლების სფეროში და სასკოლო სისტემებში მიმდინარე მოვლენებს, თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურას და საგანმანათლებლო კვლევებს ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე. მიღებულ გამოცდილებას იყენებს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში და, ასევე, უზიარებს კოლეგებს.

4. ატარებს სკოლის/ადგილობრივი ადგილობრივი საზოგადოების(თემის) საჭიროების კვლევებს, მიგნებებს იყენებს სკოლის/თემის განვითარების მიზნით.

5. ამყარებს კონტაქტებს ეროვნულ დონეზე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.

6. სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, ამყარებს კომუნიკაციას და თანამშრომლობს მესამე პირებთან.

7. ინიცირებას უკეთებს და მონაწილეობს სოციალურ აქტივობებში: სასკოლო/სკოლათშორის/სათემო პროექტებში.

8. ხელს უწყობს მოსწავლეების პროფორიენტაციას.

9. არის ინიციატორი, გეგმავს და სხვათა თანამონაწილეობით/ჩართულობით ახორციელებს დემოკრატიული კულტურის, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, ციფრული უნარების, ციფრული მოქალაქეობის, ინკლუზიური გარემოს, გლობალური მოქალაქეობის ხელშემწყობ აქტივობებს.''[45]

მენტორი მასწავლებელი:

,,1. ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს და გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ერთიან სტრატეგიას.

2. შეიმუშავებს რეკომენდაციებს ეროვნულ დონეზე ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

3. ამყარებს კონტაქტებს საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

[45] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4841342?publication=0 (მუხლი 13)

და ორგანიზაციებთან საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.''[46]

კვლევის შედეგები

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა განხორციელდა კითხვარის საშუალებით, სამი სკოლის მასშტაბით - სსიპ გორის N2 საჯარო სკოლა; სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ რეხის საჯარო სკოლა; სსიპ ვასილ განჯელაშვილის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სვენეთის საჯარო სკოლა.

კვლევის მიზანია გამოავლინოს მასწავლებელთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ არსებული ცოდნის დონე. მათ მიერ, ან მათ მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

კითხვარი მოსწავლეებისთვის

1. რამდენად კარგად იცნობთ თქვენს უფლებებსა და მოვალეობებს სკოლაში?

[46] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4841342?publication=0 (მუხლი 13)



2. არღვევს თუ არა მასწავლებელი თქვენს უფლებებს?



3. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი?

(მოსწავლეთა შეხედულებები)

,, თავისი მოვალეობა უნდა იცოდეს და არ დაამციროს ბავშვი სხვა ბავშვებთან.''

,, კარგად გვასწავლოს, თბილად მოგვეპყროს, მეგობრულად მოგვიდგეს.''

,, კეთილი, მზრუნველი, ყურადღებიანი, გამგებიანი.''

,, მეგობრული, გამგები, განათლებული.''

,, ნებისმიერი რამის ახსნა რომ არ ეზარებოდეს და ჩვენ მიმართ კარგი დამოკიდებულება რომ ქონდეს.''

,, უნდა იყოს ცოტა მკაცრი მაგრამ არ უნდა არღვევდეს მოსწავლის უფლებებს.''

კითხვარი მასწავლებლებისთვის

1. რამდენად კარგად იცნობთ თქვენს მოვალეობებს?



2. ყოველთვის ახერხებთ თქვენი მოვალეობების შესრულებას მოსწავლეების, მშობლების, დირექციისა და სკოლაში მომუშავე სხვა თანამშრომლების მიმართ?



3. რამდენად კარგად იცნობთ თქვენს უფლებებს?



4. ირღვევა თუ არა თქვენი, როგორც საჯარო მოხელის უფლებები სკოლაში?



5. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი უფლებები ირღვევა, გთხოვთ დაწერეთ რა სახის დარღვევას გულისხმობთ (მაგალითად: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ჩაგვრა, სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვა)?
(იმ მასწავლებელთა პასუხები, ვინც თვლიან, რომ მათი უფლებები ირღვევა)

,, ფსიქოლოგიური ძალადობა.''

,, სიტყვიერი შეურაცხყოფა.''

,, სიტყვიერი შეურაცხყოფა მშობლების მხრიდან.''

,, როდესაც ადმინისტრაცია თავის უფლება მოვალეობას არა კეთილსინდისიერად იყენებს და საათების განაწილების დროს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე "უფროს მასწავლებელს" განაკვეთს არ უვსებს მხოლოდ იმის გამო რომ ადმინისტრაციის წევრს შეუსრულოს განაკვეთი მე ვთვლი რომ ჩაგვრაა და ფსიქოლოგიური ზეწოლა.''

დასკვნა

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა, რათქმაუნდა არ მოიცავს საქართველოს მასშტაბით სკოლებში არსებულ მდგომარეობას, თუმცა, შეგვიძლია სამი სკოლის შედეგები განვაზოგადოთ და ვთქვათ, რომ არ იკვეთება მასწავლებლების მხრიდან ბავშვთა უფლებების დარღვევა. ეს ფაქტი იძლევა იმედს, რომ მოსწავლეებისადმი ძალადობის ფაქტები საგრძნობლად შემცირებულია.

ბავშვები კარგად ცნობენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. ისინი იცნობენ და იაზრებენ იმ კრიტერიუმების მნიშვნელობას თუ როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი და როგორ უნდა მოქმედებდეს კანონის ფარგლებში.

მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარიდან ვლინდება, რომ ისინი კარგად იცნობენ თავიანთ მოვალეობებს, თუმცა, ნაკლებად იცნობენ კუთვნილ

უფლებებს. იკვეთება მათი უფლებების დარღვევა მშობლების, თანამშრომლებისა და დირექციის მხრიდან.

მწირია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაიცვას თავი მასწავლებელმა, როცა მის უფლებებს არღვევს მოსწავლის მშობელი.

სახელმწიფოს მხრიდან მუდმივად უნდა ხდებოდს უფლებების დარღვევის პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

აუცილებელია - მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს, ყოველი წლის დასაწყისში ჩაუტარდეთ საინფორმაციო შეხვედრა, სადაც ისწავლიან და გაიხსენებენ იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც სასკოლო ცხოვრების წესის დაცვის დროს ეკისრებათ.

საქართველოს მასშტაბით ყოველწლიურად უნდა მოხდეს სტატისტიკური მონაცემების მოძიება, შეგროვება და გამოქვეყნება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა სკოლებში მოვალეობების შესრულებისა და უფლებების დარღვევის მხრივ.

გამოყენებული ლიტერატურა

1.,,განწყობის ფსიქოლოგია'' - დიმიტრი უზნაძე (გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე'' 2009 წ.)

2. ,,კომპასიტო'' - სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებსთვის (ქართული თარგმანი 2009 წ.)

3. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი. ნაწილი I. (2015 წ.)

4. ,,კლასის მართვა'' - რობერტ ჯ. მარზანო

5. https://www.coe.int/en/web/campaign-free-to-speak-safe-to-learn
"Free to Speak - Safe to Learn"

6.http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90

/93743-%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94/191/user:%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98:show:channel:loop:true ილია ჭავჭავაძის გამონათქვამი (ბოლოს გადამოწმებულია 24.05.2021)

7. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 2 - ღ[1] (ბოლოს გადამოწმებულია 24.05.2021)

8. https://www.aura.ge/331-leqsebi-mastsavlebelze/5166-ioseb-noneshvili--mastsavlebeli.html იოსებ ნონეშვილის პოეზია (ბოლოს გადამოწმებულია 24.05.2021)

9. http://kids.ge/poesy-verse?id=1412 სწავლა მოსწავლეთა - სტროფი მე-3 (ბოლოს გადამოწმებულია 24.05.2021)

10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' თავი II (ბოლოს გადამოწმებულია 26.05.2021)

11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 8 (ბოლოს გადამოწმებულია 26.05.2021)

12. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 4 (ბოლოს გადამოწმებულია 27.05.2021)

13. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 10 (ბოლოს გადამოწმებულია 27.05.2021)

14. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 11 (ბოლოს გადამოწმებულია 27.05.2021)

15. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი

განათლების შესახებ'' მუხლი 12 (ბოლოს გადამოწმებულია 28.05.2021)

16. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 13 (ბოლოს გადამოწმებულია 28.05.2021)

17. http://www.electionsportal.ge/geo/incident/1076 (ბოლოს გადამოწმებულია 01.06.2021)

18. http://www.electionsportal.ge/geo/incident/1015 (ბოლოს გადამოწმებულია 01.06.2021)

19. https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-generaluri-prokuraturis-gancxadeba-1-1-1-1-1-1-1 საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადება (ბოლოს გადამოწმებულია 01.06.2021)

20. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 14 (ბოლოს გადამოწმებულია 03.06.2021)

21. http://mastsavlebeli.ge/?p=12464 მეორადი წყარო (ბოლოს გადამოწმებულია 07.06.2021)

22. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 15 (ბოლოს გადამოწმებულია 07.06.2021)

23. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 16 (ბოლოს გადამოწმებულია 07.06.2021)

24.https://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&id=10233&lang=geo (ბოლოს გადამოწმებულია 14.06.2021)

25. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 15 (ბოლოს გადამოწმებულია 14.06.2021)

26. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 17 (ბოლოს გადამოწმებულია 14.06.2021)

27. https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/5226-vin-gaavrtsela-skolis-mastsavleblis-piradi-kadrebi-braldebuli-shurisdziebaze (ბოლოს გადამოწმებულია 16.06.2021)

28. https://matsne.gov.ge/ka/document/download/3298727/0/ge/pdf საქართველოს კანონი მუხლი 157 (ბოლოს გადამოწმებულია 16.06.2021)

29. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 18 (ბოლოს გადამოწმებულია 21.06.2021)

30. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16229 (ბოლოს გადამოწმებულია 21.06.2021)

31. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 19 (ბოლოს გადამოწმებულია 21.06.2021)

32. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 4 (ბოლოს გადამოწმებულია 22.06.2021)

33. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 20 (ბოლოს გადამოწმებულია 22.06.2021)

34. https://inforustavi.ge/?m=31&news_id=11795 (ბოლოს გადამოწმებულია 22.06.2021)

35. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 21 (ბოლოს გადამოწმებულია 23.06.2021)

36. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 21 (ბოლოს გადამოწმებულია 23.06.2021)

37. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907094?publication=0 მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემა მუხლი 4 (ბოლოს გადამოწმებულია 24.06.2021)

38. https://www.goodreads.com/quotes/914955-one-child-one-teacher-one-book-one-pen-can-change (ბოლოს გადამოწმებულია 25.06.2021)

39. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 26 (ბოლოს გადამოწმებულია 25.06.2021)

40. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლი 7 (ბოლოს გადამოწმებულია 26.06.2021)

41. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლი 3 (ბოლოს გადამოწმებულია 26.06.2021)

42. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლი 4 (ბოლოს გადამოწმებულია 26.06.2021)

43. https://edu.aris.ge/news/2016-wlidan-moswavleze-fizikuri-dzaladobis-mizezit-23-maswavlebeli-gatavisuflda-saministro.html (ბოლოს გადამოწმებულია 27.06.2021)

44. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლი 5 (ბოლოს გადამოწმებულია 29.06.2021)

45. https://edu.aris.ge/news/ra-mnishvneloba-aqvs-maswavleblebisa-da-mshoblebis-pozitiuri-urtiertobas-tanamshromlobis-12-gza.html (ბოლოს გადამოწმებულია 29.06.2021)

46. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლი 6 (ბოლოს გადამოწმებულია 30.06.2021)

47. http://mastsavlebeli.ge/?p=2517- (ბოლოს გადამოწმებულია 01.07.2021)

48. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' მუხლი 21 (ბოლოს გადამოწმებულია 02.07.2021)

49. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907094?publication=0 მასწავლებლის

პროფესიული განვითარებისა და პროფესიული წინსვლის სქემა მუხლი 3 (ბოლოს გადამოწმებულია 03.07.2021)

50. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4841342?publication=0 მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუხლი 13 (ბოლოს გადამოწმებულია 04.07.2021)

50. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4841342?publication=0 მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუხლი 13 (ბოლოს გადამოწმებულია 05.07.2021)